



AK-AIR GEORGIA

მის.: ქ. მცხეთა, სოფ. ნატახტარი / Add.: Village Natakhtari, Mtskheta, Georgia / მობ./Mob.: + 995 574 710 710

№ _____

09 სექტემბერი 2022 წ.

წარმოგიდგენთ შპს "აკ-ეარ ჯორჯია"-ს (საიდენტიფიკაციო ნომერი 436041061) 2021 წლის ფინანსურ ანგარიშგებას, რომელიც მომზადებულია მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის (მსს ფასს) შესაბამისად.



ირაკლი კუტალია
დირექტორი:

შპს „აკ-ერ ჯორჯია“

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება 2021 წლის 31 დეკემბრის
დასრულებული წლისთვის

შინაარსი

სრული შემოსავლის საწყისი ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის საწყისი ანგარიშგება

ფულადი ნაკადების საწყისი ანგარიშგება

კაპიტალში ცვლილებების საწყისი ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

ფინანსური ანგარიშგების აუდიტი:

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ის 2021 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ანგარიშგება ფინანსური მდგომარეობის შესახებ (საანგარიშგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	31 დეკემბერი 2021	01 იანვარი 2021
აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4,613,167	4,274,707
არამატერიალური აქტივები	-	-
	4,613,167	4,274,707
მოკლევადიანი აქტივები		
მარაგები	552,768	32,020
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	2,154,413	2,510,413
ფული და ფულის ეკვივალენტები	76,855	259,401
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისღები შემოსავალი	-	-
სულ მოკლევადიანი აქტივები	2,784,036	2,801,834
სულ აქტივები	7,397,203	7,076,541
ვალდებულებები და კაპიტალი		
კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი	2,454,836	2,454,836
გაუნაწილებელი მოგება	-79,027	32,142
	2,375,809	2,486,978
გრძელვადიანი ვალდებულებები		
გრძელვადიანი სესხები	3,666,301	2,382,547
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	3,666,301	2,382,547
მოკლევადიანი ვალდებულებები		
მოკლევადიანი სესხები	31,375	705,101
ვალდებულებები საწარმოს პერსონალის წინაშე	15,668	18,004
ვალდებულებები მეკავშირე საწარმოს წინაშე	-	-
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	1,308,050	1,483,912
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები	1,355,093	2,207,017
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	7,397,203	7,076,541

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით 2022

წლის 9 აგვისტო:

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ს

დირექტორი:

ირაკლი კუტალია, 62001019316



ფინანსური მენეჯერი

ორინე მღებრიშვილი.010003005169

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ის 2021 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშგება (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი)

	2021	2020
შემოსავალი	6,936,057	4,867,879
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	(5,970,102)	(3,809,179)
საერთო მოგება	965,955	1,058,700
გაყიდვისა და მიწოდების ხარჯები	-	-
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	(964,839)	(1,211,463)
საოპერაციო მოგება	1,116	(152,763)
ფინანსური ხარჯი, ნეტო	(687,999)	(389,109)
კურსთაშორის სხვაობიდან მიღებული ზარალი, ნეტო	306,670	(441,827)
სხვა შემოსავალი (ხარჯები), ნეტო	269,045	(39,405)
მოგება დაბეგვრამდე	(111,169)	(1,023,104)
მოგების გადასახადის ხარჯი	-	-
წმინდა მოგება	(111,169)	(1,023,104)
სხვა სრული შემოსავალი	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	(111,169)	(1,023,104)

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2022 წლის 9 აგვისტო:

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ს

დირექტორი:

ირაკლი კუტალია, 62001019316

ფინანსური მენეჯერი

ირინე მღებრიშვილი.010003005169



შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ის 2021 წლის 1 იანვრიდან – 2021 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით პერიოდის ფულადი სახსრების მოძრაობის უწყისი (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი):

	2021	2020
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:		
მთლიანი სრული შემოსავალი	(111,169)	(1,023,104)
კორექტირებები:		
ცვეთა და ამორტიზაცია	391,558	702,895
დარიცხული საპროცენტო ხარჯი	687,999	389,109
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	(306,670)	441,827
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან საოპერაციო აქტივებსა და ვალდებულებებში ცვლილებებამდე	661,718	510,727
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	356,006	(112,995)
მარაგები	(520,748)	352,943
სავაჭრო და სხვა ვალდებულებები	(178,198)	73,578
ფულადი ნაკადების გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	318,778	824,253
გადახდილი მოგების გადასახადი	-	-
	-	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საოპერაციო საქმიანობიდან	318,778	824,253
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:		
ძირითადი საშუალებები	(730,018)	(335,494)
არამატერიალური აქტივები	-	-
ფულადი ნაკადების წმინდა გადინება საინვესტიციო საქმიანობიდან	(730,018)	(335,494)
ფულადი ნაკადები ფინანსური საქმიანობიდან:		
საწესდებო კაპიტალი	-	-
სესხების მიღება	1,009,680	(88,091)
სესხების გადახდა	(1,087,649)	(61,992)
გაცემული დივიდენდი	-	-
	-	-
ფულადი ნაკადების წმინდა შემოდიდება ფინანსური საქმიანობიდან	(77,969)	(150,083)
წმინდა ზრდა/(შემცირება) ფულსა და ფულის ეკვივალენტებში	(489,209)	338,676
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის დასაწყისში	259,395	362,553
საკურსო სხვაობის გადაფასების ეფექტი	306,670	(441,827)
ფული და ფულის ეკვივალენტები პერიოდის ბოლოს	76,855	259,401

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით

2022 წლის 9 აგვისტო:

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ს

დირექტორი: ირაკლი კუტალია, 62001019316

ფინანსური მენეჯერი

ირინე მღებრიშვილი.010003005169



შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ის 2019 წლის 1 იანვრიდან – 2019 წლის 31 ჩათვლით პერიოდის მდგომარეობით კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიში (საანგარიგებო ვალუტას წარმოადგენს – ლარი):

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	გადაფასების რეზერვი	სულ
1 იანვარი 2021	2,454,836	32,142	-	2,486,978
	2,454,836			2,454,836
გაცემული დივიდენდები	-	-	-	-
მთლიანი სრული შემოსავალი	-	(111,169)	-	(111,169)
31 დეკემბერი 2021	2,454,836	(79,027)	-	2,375,809

ხელმოწერილია და გამოსაცემად ნებადართულია კომპანიის ხელმძღვანელობის სახელით
2022 წლის 9 აგვისტო:

შპს „აკ-ეარ ჯორჯია“-ს

დირექტორი:

ირაკლი კუტალია, 62001019316



ფინანსური მენეჯერი

ირინე მღებრიშვილი.010003005169

შპს „ აკ-ეარ ჯორჯია “-ის

2021 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ინფორმაცია ორგანიზაციის შესახებ:

სახელმწიფო რეგისტრაცია:

შ.პ.ს. აუდიტორულ კომპანია „ლევიგ“-ს ხელშეკრულების საფუძველზე დაევალა ჩაეტარებინა აუდიტორული შემოწმება შ.პ.ს. „აკ-ეარ ჯორჯია“-ში.

სახელმწიფო რეგისტრაცია

შ.პ.ს. „ აკ-ეარ ჯორჯია“-ს სახელმწიფო რეგისტრაცია გავლილი აქვს 2017 წლის 13 ივლისს, მინიჭებული აქვს საიდენტიფიკაციო ნომერი 436041061;

საზოგადოების დამფუძნებლები არიან:

1. შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება WINGS 4 SKY GROUP SIA, LV50003224381 /ლატვია/, 27.10.1994 20%
2. კონსტანტინს სოლოდუჰა, 050168-10503, LZ4067047 /ლატვია/ 20%
3. მარლიეს სოლოდუჰა, კუბა, 01801137789 /საქართველო/ 5%
4. ირაკლი კუტალია, 62001019316 1%
5. ამირან მანჯავიძე, 01007001797 49%
6. მაიკლ ფეოფანოვ, 01601133944 /ორმაგი მოქალაქე საქართველო, ბელარუსი/ 5%

იურიდიული მისამართი: საქართველო, მცხეთის რაიონი , სოფელი ნატახტარი.

ორგანიზაციის დირექტორი: ირაკლი კუტალია პირადი ნომერი 62001019316.

ორგანიზაციის საქმიანობის სახე: საავიაციო საქმიანობა, მათ შორის მგზავრების და ტვირთების საჰაერო ავიაგადაყვანა-გადაზიდვა, საჰაერო ხომალდების და სხვა საავიაციო საშუალებების შეძენა და ექსპლუატაცია, საავიაციო და სპეციალური საავიაციო სამუშაოს შესრულება, მგზავრების და ტვირთების საავიაციო გადაყვანა-გადაზიდვებთან დაკავშირებული ნებისმიერი სხვა საქმიანობა.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა:

ფინანსური ანგარიშგების შედგენის და წარდგენის საფუძველები

შ.პ.ს. „აკ-ეარ ჯორჯია“-ს ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი (ფასს) მცირე და საშუალო საწარმოებისათვის;

კომპანიის სამუშაო ვალუტა არის ქართული ლარი. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარში.

რიცხვები ფინანსურ ანგარიშგებაში მოცემულია ლარამდე დამრგვალებით, თუ სხვაგვარად არის არის აღნიშნული.

შეფასების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ისტორიული ღირებულების საფუძველზე.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე.

ფუნქციონირებადი საწარმო

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის საფუძველზე იმის დაშვებით, რომ კომპანია განაგრძობს ფუნქციონირებას პროგნოზირებად მომავალში. მის ხელმძღვანელობასა და დამფუძნებელს სურვილი აქვთ განაგრძონ კომპანია საქართველოში.

ხელმძღვანელობამ განიხილა კორონა ვირუსის - Covid 19-ის გავლენა კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე. საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე კომპანიის ხელმძღვანელობა არ მოელის არსებით უარყოფით გავლენას კომპანიის საქმიანობის უწყვეტობაზე. ხელმძღვანელობას სჯერა, რომ უწყვეტობის პრინციპის გამოყენება შესაფერისია კომპანიისთვის.

ინვესტიციები მეკავშირე საწარმოებში

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციები აღირიცხება დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით.

მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციებიდან მიღებული დივიდენდები მაშინ აღიარდება, როდესაც ძალაში შევა ჯგუფის უფლება დივიდენდების მიღების შესახებ. იგი აისახება სხვა შემოსავალის მუხლში.

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდამოშვებისა და რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადი

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის გატანილ მოგებას.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები 2 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა 10–30 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შემენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება ხდება წრფივი მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, რომელიც ხუთ წელს შეადგენს. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების, არამატერიალური აქტივებისა და მეკავშირე საწარმოებში განხორციელებული ინვესტიციების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას ჯგუფისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც ჯგუფის აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთისმიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება „პირველი შემოსავალში-პირველი გასავალში“ („ფიფო“) მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის არსებული სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

საანგარიშგებო ვალუტა

ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ეროვნულ ვალუტაში - ლარში, რომელიც წარმოადგენს საანგარიშგებო ვალუტას;

შემოსავალი

2021 წლის შემოსავალი შეიძლება წარმოდგენილი იყოს შემდეგნაირად:

	2021
შემოსავალი მზა პროდუქტიდან	
შემოსავალი	6,911,296
საპროცენტო შემოსავალი	24,760
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	269,045
სულ შემოსავალი	7,205,102

თვითღირებულება

რეალიზებული პროდუქტის თვითღირებულება 2021 წლისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

მზა პროდუქტის თვითღირებულება	2021
გაყიდული მომსახურების თვითღირებულება	5,028,385
პირდაპირი ხელფასი	941,717
სულ თვითღირებულება	5,970,102

საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები

2021 წლის საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	2021
იჯარის ხარჯები	36,175
ცვეთა და ამორტიზაცია	391,558
საკონსულტაციო ხარჯი	8,877
მიწვლინებისა და წარმომადგენლობითი ხარჯები	126,292
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	11,014
საგადასახადო ხარჯი	34,410
საკანცელარიო ხარჯი	135
შეკეთების ხარჯები	356
საკომუნიკაციო, კომპიუტერის და სამეურნეო ხარჯი	913
სხვა ადმინისტრაციული ხარჯები	355,109
საპროცენტო ხარჯი	687,999
	1,652,838

კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული ზარალი, ნეტო

კურსთა შორის სხვაობით გამოწვეული მოგება/ზარალი,	2021
რეალიზებული საკურსო სხვაობა	346,809
არარეალიზებული საკურსო სხვაობა	(40,139)
	306,670

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტი

ფული და ფულის ექვივალენტები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.დეკ.2021	1-ლი იანვარი 2021
ფული სალაროში	72,968	200,791
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, ლარში	24	328
ფული ბანკში მიმდინარე ანგარიშებზე, უცხოურ ვალუტაში	3,863	58,277
	76,855	259,395

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31-Dec-21	1-Jan-21
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო მოთხოვნები	2 154 413	2 510 419
არაფინანსური მოთხოვნები		-
გადახდილი ავანსები	-	-
ჯამი	2 154 413	2 510 419

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები 2021 წლის 31 დეკემბრისთვის და 1-ლი იანვრისთვის წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	მიწა და შენობა	მანქანა - დანადგარები	საოფისე აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	კონსერვაციაში მყოფი ძირ საშ	სულ
ნაშთი 01.01.2021		1 469 176	15 406	4 105 705	-	5 590 288
შემოსვლა		402 147	6 015	2 376 219	-	2 784 382
გასვლა	-	-		(2 614 008)	-	(2 614 008)
ნაშთი 31.12.2021	-	1 871 324	21 421	3 867 916	-	5 760 661
დაგროვილი ცვეთა						
დაგროვილი ცვეთა 01.01.2021		(308 043)	(5 499)	(1 002 038)		(1 315 581)
ცვეთა წლის განმავლობაში		(154 252)	(2 467)	(234 839)	-	(391 558)
გასული ძირითადი საშუალებების ცვეთა	-	-	-	559 645	-	559 645
დაგროვილი ცვეთა 31.12.2021	-	(462 295)	(7 966)	(677 233)	-	(1 147 494)
ნეტო საბალანსო ღირებულება						
ნეტო საბალანსო ღირებულება 01.01.2021	-	1 161 133	9 907	3 103 667		4 274 707
ნეტო საბალანსო ღირებულება 31.12.2021	-	1 409 029	13 455	3 190 683	-	4 613 167

საწარმოო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად

	31.დეკ.2021	1-ლი იანვარი 2021
ფინანსური მოთხოვნები:		
სავაჭრო ვალდებულებები	1,153,449	1,050,760
სალიზინგო ვალდებულებები	46,237	
სახელფასო ვალდებულებები	96,080	291,260
არაფინანსური მოთხოვნები		
გადასახდელი გადასახადები	12,284	141,891
გადასახდელი დივიდენდები		-
ჯამი	1,308,050	1,483,912

ბანკის და სხვა სესხები

მიღებული სესხები 2021 წლის 31 დეკემბრის და 1-ლი იანვრის მდგომარეობით წარმოდგენილია შემდეგნაირად:

	31.დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
სესხის გამცემი:		
მოკლევადიანი სესხები	0	484,180
გრძელვადიანი სესხები	2,213,328	2,382,547
სესხებზე დარიცხული პროცენტები	0	220,921
ვალდებულება ფინანსურ იაჯარაზე	1,452,973	0
	3,666,301	2,848,622

ფინანსური იჯარის ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას 2021 წლის 30 მარტს გაფორმებული აქვს სს თიბის ლიზინგთან სალიზინგო ხელშეკრულება LGA-99716, 500 000 აშშ დოლარის ოდენობით, ლიზინგის მთლიანი ფასი არის 1 125 830,42 აშშ დოლარი საიდანაც დღე არის 171 736,84 აშშ დოლარი. და ხელშეკრულების ხანგრძლივობის ვადა შეადგენს 60 თვეს

ჩვეულებრივი იჯარის ვალდებულებები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გააჩნია 1 ხელშეკრულება ავტოსატრანსპორტო საშუალების იჯარის თაობაზე, 2 ხელშეკრულება საოფისე ფართის იჯარაზე და 1 ხელშეკრულება საცხოვრებელი ფართის იჯარაზე.

პირობითი ვალდებულებები

იურიდიული საკითხები

2021 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანიას არ გააჩნია არსებითი სასამართლო დავები. მენეჯმენტს მიაჩნია, რომ არ მოხდება არანაირი მატერიალური დანაკარგის წარმოქმნა, შესაბამისად არანაირი ანარიცხი არ არის შექმნილი სასამართლო დავებთან დაკავშირებით.

გადასახადები

საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობაში შესაძლოა განხორციელდეს სხვადასხვა ინტერპრეტაციები და ცვლილებები. გარდა ამისა, მენეჯმენტის საგადასახადო ინტერპრეტაციები შეიძლება განსხვავდებოდეს საგადასახადო ორგანოების ინტერპრეტაციებისაგან, კომპანიის ოპერაციები შეიძლება გასაჩივრდეს საგადასახადო ორგანოების მიერ და კომპანიას დაეკისროს დამატებითი გადასახადები, საურავები, პროცენტები. კომპანიას მიაჩნია რომ ყველა გადასახადი გადახდილი აქვს და შესაბამისად, არანაირი ანარიცხი არ წარადგინა ფინანსურ ანგარიშგებაში. სასაგადასახო ორგანოებს შეუძლიათ მიმოიხილონ კომპანიის ოპერაციები 3 წლის განმავლობაში.

დაკავშირებული მხარეთა ოპერაციები

დაკავშირებული მხარეები და ოპერაციები დაკავშირებულ მხარეებთან ბასს 24 „დაკავშირებული მხარეთა განმარტებითი შენიშვნების“ მიხედვით, არის, როდესაც:

- ა) მხარე პირდაპირ, ან ერთი ან მეტი შუალედური რგოლის საშუალებით, არაპირდაპირ: აკონტროლებს საწარმოს, კონტროლდება საწარმოს მიერ, ან იმყოფება საერთო კონტროლის ქვეშ (ეს მოიცავს სათავო და შვილობილ საწარმოებს); საწარმოში ისეთი წილის მფლობელია, რომ მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა შეუძლია მასზე; და ერთობლივად აკონტროლებს საწარმოს;
 - ბ) მხარე არის საწარმოს, ან მისი სათავო საწარმოს, უმაღლესი ხელმძღვანელობის წევრი;
 - გ) მხარე არის (ა) და (ბ) პუნქტებით გათვალისწინებული პიროვნებების ოჯახის წევრი;
 - დ) მხარე არის საწარმო, რომელსაც აკონტროლებს, ერთობლივად აკონტროლებს, ან მასზე მნიშვნელოვანი გავლენა აქვს (ბ) და (დ) პუნქტებში განსაზღვრულ რომელიმე პიროვნებას, ან, რომელშიც მნიშვნელოვანი ხმის უფლებით პირდაპირ ან არაპირდაპირ სარგებლობენ ეს პიროვნებები.
- დაკავშირებულ მხარეებთან თითოეული შესაძლო კავშირის განხილვისას, ყურადღება უნდა გამახვილდეს ოპერაციის ეკონომიკურ შინაარსზე, და არა მის სამართლებრივ მხარეზე. კომპანიისა და მისი დაკავშირებული მხარეების არსებითი ურთიერთობის დეტალები მოცემულია ქვემოთ.

სესხის გაცემა ურთიერთ დამოკიდებულ პირებზე	31 დეკემბერი 2021	1 იანვარი 2021
შპს სერვისეარ ჰოლდინგი		43403 EUR
შპს სერვისეარ ჰოლდინგი	3665,77 USD	75608 USD
შპს სერვისეარ ჰოლდინგი		17500 GEL
ამირან მანჯავიშვი (დამფუძნებელი)		6223 USD
ირაკლი კუტალია (დირექტორი)		1200 USD

საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მომხდარი მოვლენები

კომპანიის მენეჯმენტი აცხადებს, რომ კომპანიაში არ მომხდარა ისეთი მოვლენა 2021 წლის 31 დეკემბრის შემდეგ, რომელიც იქონიებს მნიშვნელობას წარდგენილ ფინანსურ ანგარიშგებაზე.

3. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ხელმძღვანელობამ ფინანსური ანგარიშგება დაამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2022 წლის 11 აგვისტოს;